# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი


## ႠႩႠႩႨႱ ႬႭႫႤႰႨ—Ⴆ

აკაკი დაიბადა 1840 წ. 9 ივნისს, გარდაიცვალა 1915 წ. 26 იანვარს საჩხერეში. დაიკრძალა თბილისში მთაწმიდაზე 8 თებერვალს.



„ახალი აზრი“, „სახალხო ფურცელი“, „შადრევანი“, „თემი“, „კლდე“, „თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ნაკადული“ და „ჯეჯილი“ აუწყებენ საზოგადოებას, რომ განსვენებული მგოსანი

# ა კ ა კ ი

დაკრძალულ იქნება დღეს მთაწმიდაზე. წირვა და წესის აგება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათიდან.

# აკაკი ცოცხალია—

## თვითონ კითხულობს თავის ლექსებს

აკაკი ლექსების კითხვის დროს გადაღებულია გრამოფონის ფირფიტებზე,

მოიკითხეთ

## „გრამოფონის“ საზოგადოების მაღაზიაში

ფირფიტებზე გადაღებულია:

1) მთაწმიდა (განთიადი), 2) გიყვარდეთ სამშობლო! (სიტყვა აკაკისა); 3) მომაკვდავის ფიქრები; 4) ბავშვებისადმი; 5) მგოსანი.

**ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.**

ОТДѢЛЕНІЕ
для КАВКАЗА, ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ и ПЕРСІИ
**ТИФЛИСЪ,**
ГОЛОВИНСКІЙ ПР., 9.
ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА.

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 6

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 6 | კვირა, 8 თებერვალი | 1915 წ.


**ხალხო, პატივი ეცი დიდებულ მამულიშვილის, ერის მესაიდუმლის აკაკის დაკრძალვასა და წეს-რიგი დაიცავი!**

## 8 თებერვალი

„მთაწმიდა ჩაფიქრებულა, დაგყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“ და მიგელის

**მშვიდობით სულის მეფევ!**

შენ, შენ, რომელმაც მთელი ცხოვრების გზა სამშობლოს საკეთილდღეო ზრუნვაში გალიე. თუმც „სიტკბოზე მწარე ბევრი დალიე!..“

მაგრამ გიხაროდენ, ჩვენის ნეტარი მერმისის მომღერალო: შენ უკვე ერის გულში ხარ დამარხული და იქიდან ვერღარა ამოგშლის...

ის, რაც ათეულმა საუკუნეებმა ვერ შესძლო—ამერ-იმერეთის შეკავშირეაბ, სამ სამეფოსი და შვიდ სამთავროს ერთ მთელად გადაქცევა, სრულიად საქართველოს გაერთიანება,—შენ შესძელ, შენ, ხალხის ფიქრთა მესაიდუმლევ, მშობელი ერის სულის მეუფევ და რაღა დაგანაღვლებს ასე ვალმოხდილს?!.

ნეტავ შეგეძლოს ერთი თვალი მიმოავლო და იხილო შენი გულის ძენი—ახალი საქართველოს შვილნი—წოდებისა, სარწმუნოებისა, რწმენისა, მიმართულებისა და გვარტომობის განურჩევლად რა სიყვარულით შემოგხვევიან, რა მოწიწებით მიგაცილებენ ადგილსა საუკუნო განსვენებისასა, და... შენი გული ამაზე უკეთესს სხვას რაღას ინატრიდა!..

დიდებული იყავ სიცოცხლის დროს, სხეულებრივ ჩვენს შორის ყოფნისა ჟამს, და აწ უმეტესად განდიდდი: ის, რაც ვერ შესძლო სხვა და სხვა ჯგუფთა ათეულ წლების პაექრობამ, შენ შესძელ შენის განსვენებით, შენთა ბაგეთა დადუმებით: მთელი საქართველო გარშემოიკრიბე... შემოკრბენ შენს გარშემო არა მზაკვრულად, იძულებით, სათვალსეიროდ, არამედ შენდამი ღრმა სიყვარულით და პატივისცემით აღვსებულნი..

**„საქართველო აღსდგა მკვდრეთით...“**

და ამაზე მეტს სხვას ხომ აღარას ეძებდი?..

მშვიდობით. ჩვენო სულის მეფევ, სილამაზისა და მაღალ მისწრაფებათა მომღერალო, სიყვარულისა და ძმობა-ერთობის მქადაგებელო, კაცთა გრძნობა-გონების ღვთაებამდე ამმაღლებელო!..

მშვიდობით, ჩვენო სულის მეფევ!..

## აკაკის

(წარმოთ. ცხედართან 5 თებ. გორის სადგურზე)

სულმნათო, ილიასთანა
გითხრიან აკალდამასა,
შეეტკბი ვითა ძმა ძმასა,
როგორც რომ შვილი მამასა!
მტირალი დედა ქართლისა
გიგალობთ სულთათანასა
და შვილებივით დავითიც
გეტყვისთ ზეციურ ნანასა
რა მოჰკლავს იმ ერს, რომელიც
ზრდის შვილებს თქვენისთანასა!!.

სულმნათო, ქართლის ბედისა
გერგო ტარება კისრითა
ბევრჯელ იკვნესე მის ვარმით,
როგორც დაჭრილმა ისრითა.
მის სიხარულით ჰხარობდი,
იწოდი ცეცხლით მისითა,
და ბოლოს სამარეშიაც
ჩახველ იმავე ფიქრითა!
და ღმერთი საქართველოსი
ჩემებრ პატარა კაცებსა
თქვენი უსაზღვრო ღვაწლითა!
ძალღონეს უასკეცებსა!!.

**თ. რაზიკაშვილი**

# ქვირფასი აკაკის ხსოვნას

აკაკი გარდაიცვალა... „სხვა სახედ“ შეიცვალა, სხვა სახედ გარდიქცა...

მართლაც რომ სახე, ე. ი. გარეგანობა გამოეცვალამხოლოდ და არ კი მომკვდარა. არსება მისი, სული და გული, უკვდავია და სამარადისო—საუკუნო არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვათათვისაც, უცხოთათვის: ყველას შეუძლიან ისწავლოს მისგან, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს სამშობლო, როგორის გულით უნდა ემსახუროს მას...

უკვდავს და დაუშრეტელს წყაროს წარმოადგენს მისი პოეზია. . სუნნელოვანს, შემკულს, მრავალფეროვანს თაიგულს თვალწარმტაც მარგალიტებისაგან შეკონილს; რომლის მზერა ადამიანისთვის არ მოეწყინება.

იგია სრული და უნაკლო ციური ჰანგი, რომლის მოსმენა ადამიანს უფრო მეტად უნდა, რაც ხშირად ისმენს.

აკაკი იყო სანთელი, რომელიც იწვოდა სამშობლოსთვის. აკაკი გვასწავლიდა მუდამ:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო.“

შეერთებულს ქართველობას უნდა ემუშავნა თავის განვითარებისთვის ხანგრძლივად და მუყაითად, მაშინ ეღირსებაო ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მანამდის კი მოთმინება და მოთმინება...

„გაუმაგრდი განსაცდელს
აიტანე ტყვეობა,
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი მზეობა“...

როგორც ნესტანდარეჯანს, მრავალ განსაცდელსა და პატიჟთა გამოვლილს, აუსრულდა დიდიხნის სურვილი და გულის წადილი, აგრეთვე მისი ძვირფასი სამშობლო ეღირსება ასრულებას თავის სანატრელ მისწრაფებათა.

მხოლოდ სამწუხარო და მეტად გულდამწყვეტია ის გარემოება, რომ თვით ვერ ეღირსა იმ ნეტარს დღეს, იმ სანუკვარს წუთს.

იქნება ჩვენც ვერ შევესწროთ იმ დღეს, მაგრამ აკაკის დაპირებული აღდგომა დადგება...

მწამს.

**დ. ნახუცრიშვილი**

# გადიცვალა

გადიცვალა, გადიცვალა, გადიცვალა მგოსანთ მეფე!
გადიცვალა, გადიცვალა, იადონო, ვარდს შეჰყეფე!
გადიცვალა! ვარსკვლავებო, გაუმჟღავნეთ მზეს და მთვარეს.
გადიცვალა! ჰქუხს ეს სიტყვა საქართველოს ყოველს მხარეს,
გადიცვალა და ამ სიტყვით შეზანზარდა თვითონ ზეცა
გადიცვალა და ეს სიტყვა ბრძენთა დავთარს გადაეცა.
გადიცვალა მგოსანთ მეფე და ეს ისე.. და ეს ისე,
რომ სპეტაკს წვერს ვერ შევეხე და .. მის ამბორს ვერ ვეღირსე.

გადიცვალა, გადიცვალა, გადიცვალა მგოსანთ მეფე!
გადიცვალა მგოსანთ მეფე! - იადონო ვარდს შეჰყეფე!

და იცვალოს მგოსანო, ბედიც შენის ერისა
და აღსრულდეს მიზანი შენთა ლექსთა ჟღერისა,
და იცვალოს მგოსანო, სახე საქართველოსი! —
აღგიკმევენ დიდებას ფსიხესი და ეროსი.

**ბაბილინა**

# აკაკი ახალგაზრდობაში

(მოგონებიდან)

...ჩემს ყმაწვილობაში აკაკი ხშირად იარებოდა ჩვენსა. სადმე წასვლას რომ დავაპირებდით დროს გასატარებლად, უთუოდ ერთად უნდა წავსულიყავით. საცა აკაკის დაიგულებდნენ, ვისაც გაგება ჰქონდა, მის სანახავად მიესწრაფებოდენ, რომ მისი საუბრით და ხუმრობით დამტკბარიყვენ. საზოგადოებაში ბაასის დროს აკაკის მახვილ სიტყვას მუდამ ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელნი. აკაკიმ სიყმაწვილიდანვე დაიმსახურა საზოგადო სიყვარული და მისი სახელი თითქმის ყველას გულში ჩაებექდა.

როდესაც ქუთაისში, ჩემს სამშობლოში, ვცხოვრობდი დეიდაჩემთან, აკაკი მუდმივი სტუმარი იყო ჩვენი. მახსოვს ერთ საღამოს შევიკრიბენით იურკევიჩის სახლში: აკაკი, მე, მამია გურიელი, გიორგი თუმანიშვილი (მოხუცი კაპიტანი), გიორგი აგიაშვილი, მისი ცოლი ნატალია (დადიანის ასული), კეკელა აგიაშვილის ქალი და სხ. მასპინძელი იყო კესარია იურკევიჩისა, დედა რუს-იმერელისა. მთელი საღამო ლექსების თქმით გავატარეთ: ზეპირად გვიკითხავდნენ თვის თხზულებათ აკაკი, მამია გურიელი და თუმანიშვილი. ისე გავიდა ღამე, რომ განთიადმა დაგვანათა, აკაკი გაგვექცა — მეძინებაო. განთიადზე შემოგვიტანეს ჩაი, ჩაის თან შემოჰყვა ლექსი აკაკისა. შეგვექნა ერთი ალიაქოთი: არა მე წავიკითხავ, არა მეო! რა თქმა უნდა, მამიას მიენდო წაკითხვა და მასთანაც იყო მოწერილი. აი ეს ლექსი:

„ძმაო, ლასტკბი მათითა,
მამშინ შენზე მათითა;
შენ მანდ დარჩი ნეტარი,
მე წამოველ მათითა.
ანგელოსთა სადარი,
შენი ჩორჩი სად არი?
გულმა მიანბო, თურმე,
შენ ხარ მისი სადარი!“

**კნ. ნინო ორბელიანისა**



აკაკი 35 წლის წინად

# აკაკი ნანგრევზე — აკაკი ხალხში

მე მინახავს უღრან ტყეში, ნგრეულ ტაძრის ხავსმოდებულ კედლებზე ტლუდ აღმართული ხე...

დრო ჟამი, ბუნების მუდმივი ცვალებადობა და მწირი ნიადაგი მისთვის არაფერია...

თითქო ძველი ტაძრის მრავალსაუკუნიანი ტინის ქვები აწოვებენ ძუძუსო, ისე მოეჩვენება შორით მაყურებელს, მაგრამ არა: ამ ხეს ფესვები ნანგრევ ქვათა შორის მიწაში აქვს წასული .. ხე-კი მაღლა სდგას, გუმბათ მონგრეულ ტაძარზე...

ასე ჰსუნთქავს, ჰსცოცხლობს, ნაყოფიერობს ხე იგი ძველ დანგრეულ ტაძარზე...

ნაყოფი მისი წვრილია, მარგალიტის მძივის მაგვარი, თხელკანა, მაგარ ნაჭუჭა, მაგრამ მეტად ტკბილი...

ამ ხისას ძველ დროში ჯვრებს აკეთებდენ, გულზე სატარებელ ჯვრებს...

დღესაც ვინმე მწირს, ღვთის კაცს თუ მოესურვება მაცხოვრის გვემისა და დიდების ნიშანი გამოჰსახოს, ამ ხისაგან გამოაჩუქურთმებს ჯვარსა ანუ წმიდანთა ხატებს. და ღრმათა სწამს, რომ იგია ღვთის მიერ რჩეული წმიდა ხე, მსასოებელი, ძლევის მომნიჭებელი, მადლის მომფენი...

სახელი ამა ხისა—აკაკი.

ასეა ჩვენის ქვეყნის ტურფა ბუნებაში.

და ასევე იყო ჩვენს მრავალტანჯულ ცხოვრებაში...

მრავალსაუკუნეთა ქარიშხლიან ჟამთა-ვითარებისა გამო დაქსაქსულ ჩვენის სამშობლოს ნანგრევებზე დაიბადა ძე-ხორციელი, რომელსაც, თითქო, განგებ დაერქვა **აკაკი**, რომ მსგავსად ნგრეულ ტაძარზე აღმოცენებულ ხის აკაკისა, აღმოცენებულიყო დანგრეულ სამშობლოში დაქსაქსულ სამშობლოს გასაერთიანებლად...

და ეს შესძლო აკაკიმ...

მწირსა და ხრიოკ ზედაპირზე აღმოხეთქილმა ერის ძემ ფესვნი ღრმად გაიდგადა ძირს, ხალხში, მთელი ერის გულის ძაფები თვით შეიერთა, ხოლო თვისი მთელის ხალხის—ერის გულთან გადააბა და ამეტყველდა. .

ამეტყველდა და აამეტყველა მთელი ერი..

შემოქმედმა გადმოხედა აკაკისა და მის მშობელ ერს და ბრძანა: იყავ ერთ სულ და ერთ ხორც!...

და იქმნა ასე: აკაკი და მისი მშობელი ხალხი ერთ ხორც და ერთ სულ იქმნა ..

დრომან სასტიკმან ვერღა წარხოცოს მისი მცნება, მისგან მონიჭებული სარწმუმოება, ხალხში ჩანერგილი, ვითარცა ვერ შემუსრავს ნგრეულ ტაძარზე აღმართული აკაკის ხე...

დღეს ჭურჭელი მისი სულისა მიესვენება სამშობლოს უწმიდეს აკლდამას, რომ მისმან სულმან მადლი მოგვფინოს...

მაშ, ჩემო მრავალტანჯულო სამშობლოვ, გამოჰკვეთე ჯვარი მის სულის ნაწილებისაგან —მის მოძღვრებისაგან, რომ მისმან ძლევამოსილებამ—ყოველგვარი უკეთურება დაგაძლევინოს, წყვდიადს დაგხსნას და ახალი ცხოვრების განთიადი მალე გაღირსოს· .

შენ კი, ჩემო უდიდებულესო მოძღვარო, შენ, რომელმაც მე არარაისაგან ერთ მოაზროვნე არსებად გარდამქმენ, რომელმაც სიყრმიდანვე ჩამინერგე საკუთარი ეროვნული ვინაობის ცნობა, ხალხის თავგამოდებითი სამსახური და ჩვენი უკეთესი მომავალის რწმენა, განისვენე მშვიდათ, მშვიდათ!..

და გრწამდეს, შენსა ნათესს ვერავითარი ძალი ვერ შემუსრავს...

**იოსებ იმედაშვილი**

# აკაკი არ მოკვდება! .

მთაწმიდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ—
შენა მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!.. **აკაკი**

აღსრულდა ნანატრი სულ-მნათ აკაკის: ღრმად ჩაფიქრებული და დამწუხრებული მთაწმინდა მოუთმენლად მიელის თავის მასახელებელს, უბადლო მამულიშვილს, რომ მისს, უმაგალითო შრომით დაღლილ-დაქანცულ სხეულს გადაახუროს თვისი ცრემლით სავსე, მადლიანი კალთა და თანატოლ—თანმშრომელ,—ჩვენ მეორე მესვეურ, ილიასთან ერთად, მაგრად ჩაიკრას ტანჯულ-წამებულ გულში...

მამა-დავითის დამწუხრებულ სახეს ამასთანავე რაღაც სიამაყეც კი დეეტყო: თვის სიმაღლიდან მედიდურის გამოჭვრეტით თითქოს იმას გვამცნევს: შეხეთ, ამ უმადურს ყოფაშიც კი ჩემს უბე-კალთას რა სახელოვანი შვილ ების აღზრდა შესძლებიათ...ოღონდაც, ის დედა, რომლის ძუძუთიც აღუზრდია შოთა--ილია—აკაკისთანა ბუმბერაზი შვილები,—შეუძლიან სთქვას; „უკვდავია ჩემი სახელი და მარად სათაყვანო ჩემი ხსენება!..“

—აკაკი მოკვდაო!“—გაისმა გლოვის ზართან ერთად, გმინვის ხმა მთელ ჩვენ მხარის ყოველ კუთხეში: თითქმის ამ ხმამ მას დააღწუდა უმისოდაც მრავალი ჭირვარამი და იგი ახალი, ღრმა ძაძით იმოსება. რა მოჰკლავს აკაკის! განა კი მკვდრად ჩაითვლება, ამ რვა საუკუნის წინედ გარდაცვლილი, შოთა?! აკაკის ნაშრომ-ნაამაგდარი, ფიზიკურად დაღლილ-დაქანცული ხსეულიც მოსვენებას ითხოვდა და გარდაიცვალა იგი. მისი სხივოსანი და სპეტაკი სული კი უკვდავია და მარად იბრწყინავს ისრე, როგორც ბრწყინავს ხოლმე მზის სხივებში მობანავე, უაზბეგის თეთრი მწვერვალი!.. თქვენ ვერ შეხვდებით ჩვენ მხარეში ისრეთ მივარდ-

ნილ კუთხესაც კი, სადაც არ იცნობდნენ დიდ აკაკის, ან—შეგნებულად, თუ შეუგნებლივ—არ დაღიღინებდნენ იმის ტკბილს ლექსებს,—უბრალო მიწის მუშიდან უმაღლეს წრის წარმომადგენლამდე,—იმდენად ის დაახლოვებული იყო მთელ ჩვენ ხალხთან, რომლის გულის მესაიდუმლეც ის იყო.

ვინ აღგვიძრა მძლავრად აღორძინების ხალისი და შეგვაყვარა, ერთ დროს აბუჩად აგდებული, ჩვენი ენა და ვინაობა, თუ არ იმავ აკაკის მკვეთრმა ენამ და სუბუქმა, ფრთიანმა, მუსიკალურმა სიტყვამ! ვინ შეგვაერთა, შეგვაკავშირა და მთლიანი ეროვნული სახე მისცა ჩვენს, წინად დაქსაქსულს, ვინაობას, თუ არ იმავ სულმნათმა აკაკიმ, რომელიც დაჟინებით ჩაგვძახოდა:

„...ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრები, —
ოდელა – დელა—დელაო!“
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის—სახრჩობელაო!
მტრებს: “ვაი დედა ვაძახოთ
და ჩვენ ვსთქვათ: დელა—დელაო!..

ეხლა არც დროა და არც ადგილი ზერელეთაც არის დავახასიათოთ ღვთიური გრძნობით და მადლიანის ეხლით გავლებული ის ღრმა, წაუშლელი კვალი, რაიც აკაკიმ გაავლო ჩვენს თვითშეგნების ნიადაგზე და იმითვე უკვდავ ჰყო თვისი სახელი. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა ამ პატარა წერილით მკითხველს ყურადღება ერთხელ კიდევ, შემდეგ გარემოებისათვის მიგვექცია, თუმცა აკაკიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, აღგვიკრძალა მისი ძვირფასი კუბო, შეგვემკო გვირგვინებით, მაგრამ ეს ჩვენ სრულებით არ გვანთავისუფლებს ჩვენს მისდამო ზნეობრივ მოვალეობისაგან; აკაკიმ მხოლოდ გვიანდერძა: თუ აფასებთ ჩემს ამაგს, თუ გწამდათ ჩემი მოწოდება და მოწადინებული ხართ სამაგიეროში თქვენი თანაგრძნობა რამე გვარად გამოხატოთ ჩემს დაკრძალვის დღეს,—ის გროშები, რომლის გადებასაც აპირებდით უსარგებლო გვირგვინების საყიდლად, მოახმარეთ აზრიანად იმ თქვენივე საკეთილდღეოდ, საქმეს, რაიც ეგრეთვე ჩემს დიდი-ხნის სურვილსაც შეადგენდა—ზეპირ-სიტყვაობის ფონდის დაარსებას. ამიტომაც, ვფიქრობთ, ყველა ჩვენგანი, ვინც კი მართლა გულწრფელად თანაუგრძნობდა აწ გარდაცვალებულ, დიდი ადამიანის სულისკვეთებას,—თვისი წვლილი არ უნდა დაიშუროს ამ დიადი საქმის მოსაგვარებლად. მხოლოდ, ჩვენ ვფიქრობთ, უმჯობესი იქმნებოდა აკაკის სახელობაზე შეგროვილი ფული ორ ნაწილად გაყოფილიყო: ერთი ნაწილი მოხმარებოდა, აკაკის სურვილისამებრ, ზეპირსიტყვაობის გამოცემას და მეორეთი—დაარსებულიყო სალიტერატურო ფონდი აკაკისავე სახელით, ვინაიდან არც ერთს ეროვნების მწერალნი არ განიცდიან ისრეთ ნივთიერ უმწეობას, როგორათაც ქართველები. ჩვენ რომ სალიტერატურო ფონდი გვქონებოდა აღარ გადაგვხდებოდა ის სირცხვილი, რომ აკაკი უკანასკნელ ჟამს სხვის ხელის შემყურე არ გახდებოდა...

ამასთანავე უნდა ითქვას რომ ორ საქმის „საყველ-პურთაც“ არის მოგვარები საგრძნობელ დიდ თანხას მოითხოვს და ამ თანხის რაოდენობა დამოკიდებულია იმ თანაგრძნობა-პატივისცემის სიმხურვალეზე, რომელსაც ჩვენ გამოვიჩენთ უკვდავ აკაკისადმი..

**გ. ახალციხელი**

# მწუხარე დედას

(აკაკის ხსოვნას)

დედი! ცრემლებს ნუ გადმოღვრი, ნუ გადმოღვრი დედი ცრემლებს,
გულს ჩაიკალ, თუმცა ასჯერ უფრო დაგწვავს, აგაცრემლებს;
თორემ რაა—ბედმა გვიმტრო, თუ ცა ჩვენზე გადმოიქცა,
რომ ზურმუხტის შენი კალთა სასაფლაოდ გადაიქცა...

**ცვარ-ნამი**

# აკაკის ბრძნული სიტყვები

იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს,
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

დეე, სულყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში!..

—

არ შეშვენის სიტყვის შეშლა
კაცის მაღალ-გმირობას!..

—

ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი,
რომ მით, გვირგვინი გამოცდილების,
ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!..

—

ვინც რა უნდა სთქვას ნუ დასდევ,
შენვე ხარ შენი მსაჯული!

—

თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

—

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

—

გვირგვინი ეროვნობისა
კეთილი მომავალია!!

—

წინააღმდეგ ბუნებისა
არაფერი არ მოხდება!

—

ხეს ვერ დამყნი ისე ხეზე
თუ არ არის მისი გვარის —
შეიძლება განა სადმე
გასწორება „მთა და ბარის“?

—

ერთი დედის ძუძუები
არის ამერ-იმერეთი!...
ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი,
საქართველო—დედა ერთი!..

—

ეს ცრუ სოფელი,
მწარ-სამყოფელი,
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს!..
უდროვოთ აღხენს,
უდროვოთ აწყენს
კაცს აბურთავებს, სად არ გაიტანს?!

—

ხარბი რამ არი
და უმაძღარი
ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:
რაც რომ ჩვენია,—
მოსაწყენია,
და რაც არა გაქვს:—მიგვიდის სული!

—

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის—სახრჩობელაო!

—

ძალ-მომრეობის კანონი
დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა...
ბედია მომნიჭებელი
წყალობის, გინა რისხვისა!

—

ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი!

—

ორგვარი არის ჭეშმარიტება:
ნამდვილი და თანც მოჩვენებული!
მათი გარჩევა მეტად ძნელია,
ხშირად სტყუვდება საბრალო გული!

—

ჭკუით სრულსა და გრძნობით აღვსილ კაცს
ვერ შეაშინებს უბედურება!..
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
ის უფრო კერპად ემსახურება!

—

კარგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმად ის გულში სჩნდება,
მყისვე ირღვევა აქ ძველი სჯული.

—

უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი,
უძლეველი საბოლოოდ
არის მხოლოდ სამართალი.

(ზოგიც შემდეგ)

# აკაკის ხსოვნას

მშვიდათ განისვენა ჩვენი ერის სიამაყემ!.. მშვიდათ განუტევა სული!..

აღარ გვყავს ჩვენი ეროვნული თვით-შემეცნების უდიდესი მოძღვარი!..

აღარა გვყავს ჩვენი საყვარელი აკაკი!..

უკმეხ დროთა ბრუნვამ ბევრი ვაი-ვაგლახი, მწუხარება და ნაღველი არგუნა ქართველ ერს!.. მაგრამ იგი გასალკდევებული ებრძოდა ყოველგვარ ისტორიულ გასაჭირს და თვით მწუხარებაში, ცრემლსა და ნაღველში ჯვრით და ხმლით, იგი სჭედავდა თავის მომავალ ბედს!..

ჟამი რბიოდა!.. და ქართველი ერიც ძალას იკრეფდა სხვა და სხვა დაბრკოლებებთან შესაბრძოლებლად და თავის რჩეულ შვილთა მეოხებით დღემდე შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე... და დღესაც ამ რჩეულ გმირთა ანდერძია— პირნათლად მოვიხადოთ ჩვენ, მომავალმა თაობამ, საღრმთო ვალი ჩვენ სამშობლოსა და სახელოვან წინაპართა წინაშე!..

აკაკი ერთი ამ რჩეულთაგანი იყო, რომელიც დაუქრობელ ლამპრად ენთო ივერიელთა თვით-შემეცნების ტაძარში!..

მან ღრმად ჩაიხედა საქართველოს გულში... იცნო მისი ტკივილი, მწუხარება, ნაღველი,— განიმსჭვალა მისდამი უსაზღვრო სიყვარულით და სამშობლოს მომავლის რწმენით გატაცებულმა არ დაიშურა თვისი ძალ-ღონე მამულისა და ერის საკეთილდღეოთ!..

და... დღეს ჩაჰქრა ქართული პოეზიის ლამპარი!.. ჩაჰქრა, მაგრამ დაე, აკაკის ანდერძი, მისი უკვდავი აზრები ოქროს ასოებით აღიბეჭდოს ყოველი ქართველის გულზე!.. დაე, დიდებული მოხუცის ხსოვნამ, ცრემლთან და ნაღველთან ერთად აღადგინოს რწმენა საქართველოს უკეთესი მომავლისა, რომელსაც ემსახურებოდა აკაკი...

მშვიდად განისვენა ჩემი ერის სიამაყემ!.. მშვიდად განუტევა სული!..

ვ. გორგაძე

# აკაკი

დღეს გვეთხოვება მოხუცი
თეთრი ჭაღარა წვერითა,
დაქანცული წევს კუბოში
ხანგრძლივ ჩანგურის ჟღერითა.
ცხარე ცრემლს აფრქვევს ნათელა
თავის გამჩენელ მშობელსა,
სახელ-დიდების მიმძღვნელსა,
ლაწვ-ბაგით შემამკობელსა.
გმირი თორნიკე მოსულა,
მამისა სანახავათა,
ხედავს ქართველებს აღარ ჰყავთ
ერის ძე ერის თავათა.
კახმა გაიგო სიკვდილი
ერთგულ მამულის შვილისა,
დაჩაგრულ მო მის გულისთვის
მიმღები მრავალ ჭირისა.
დაფიქრდა დანაღვლიანდა
კახი გულ-ლახვარ სობილი,
ნაღვლობს, რომ არ ჰყავს დედასა
შვილი სანაცვლოდ შობილი,
რომი მუძღოდეს ერს წინა
ვით კაცი ცხვრისა ფარასა,
თავ-ზარსა სცემდეს დამჩაგვრელს,
ჩაგრულს მატებდეს ძალასა.
შავ თალხებში ზის ბრმა გელა,
შვ᾿ლებზე მგლოვიარეთა,
არვინ ჰყავს ხელის დამჭერი,
ვერ გამოსულა გარეთა,
რომე აუწყოს სოფლათა
მოხუცის მცნება წესია,
მისი პატრონი ის იყოს,
ვისაც რა დ.უთესია!
ცოტნე წავიდა საცნობლად
ქართლ-კახეთ-ამერ-იმერსა,
დღესა აქვს საგლოვ-სატირი,
მადლით შემოსილ ივერსა,
მოდიან: თამარ, ქეთევან,
ნინო ვაზისა ჯვარითა,
წინ მოუძღვებათ რუსთველი
თავის უკვდავი ქნარითა,
შემოკრბნენ გმირთა ლაშქარნი,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა,
რომ მიაბარონ მიწასა
სახელგანთქმული ჭაღარა ..

გ. შინატეხელი

# აკაკის

„ვისაც ხედავ აქ სულ-ყველა არის ჩემი გამოზრდილიო“ სთქვი შენ, დიდო აკაკი, გმირი თორნიკეს პირით და აჰა...

დღეს შენსავით არავის არ შეეფერება ეს სიტყვა.

მთელი შენი „სამშობლო მხარე,“ რომელიც დღეს შენს წინაშე მოწიწებით მუხლს იდრეკს, შენი გამოზრდილია.

ვისაც ერთხელ „დედა-ენა“ მაინც აუღია ხელში, ვისაც ერთხელ „სიმები ჩვენ ვართ ყველა“ მაინც უმღერია, ან თუნდ მოუსმენია... მიუხედავათ მისი დღევანდელი მსოფლიო მხედველობისა, აღზრდისა, განვითარებისა შენით აუდგამს ბავშობაში ენა, შენით აღზრდილა, შენით შეუყვარებია მისი ქვეყნის მომავალი..

„ცის ნიჭათ მოვლენილი მგოსანი“ უთუოდ შეამჩნევდი, რომ ყველა ამ შენგან გამოზრდილებს უკვე დიდი ხანია თავზე დასთამაშებს ერთი უცხო მარავანდედი, რომელიც უხილავად შენვე დაანთე და რომელიც აი ეხლა შენი „გარდაცვლის“ ხანობაში კიდევ უფრო ძლიერდება.

იქ, ჯერ კიდევ ბუნდოვნათ, მაგრამ მაინც სანეტაროდ ისახება სიტყვები:

ახალი საქართველო.

და აი ეგ გპასუხობს დღეს..

ყველაზე უფრო მჭევრ-მეტყველი სიტყვა თუ ვისმესგან თქმული დღეს **მან მთელმა** გამოსთქვა..

ერთად ერთ დაფნის გვირგვინზე—„აკაკის—საქართველო!“

ამაზე უკეთესს შენ ვერავინ ვერ გეტყვის და ხომ ეს იყო კიდეც შენი ნატვრა...

მაშ **გაუმარჯოს** ამ მომავალს
**ახალ საქართველოს**!



# კახელი გლეხის მწარე კვნესა*)

ოოჰ, უურო, ვერ დაგიჯერებ, არ მომკვდარა ჩვენი აკაკი,.. არ მომკვდარა ჩვენი ღმერთ-კაცი!! .,

ოოჰ, დიდო მასწავლებელო, ახლა კი მთლათ უნებლიეთ მოგვეშხამა ისედაც დაკოდილი ბუნება და გაატოფა-დარდვნა ჩვენი არსებობა!!.. თურმე ამ დიდი და მწვავე ნაპრალ-მეწყერის მოწინავე ნახეთქებმა გაგვსტაცეს ისოდენ ჩვენი ეროვნული სიამაყე—მოღვაწეები, ამ მოკლე-დროში უკანასკნელ თქვენც გიმსხვერპლათ და ისედაც დაკოდილს ძაძამოსილ ერს ჩამოაწვა სევდის კუმეტი—ჩამოგვექცა სამყარო პოეზიისა!!

ახლა?!! ახლა ვისმიღა ვეძიოთ აკაკი?!! ვინაა თქვენი პირმშო, ვინღა გაუძღვება თქვენს წილხვედრს ერს და ვ ნღა უზამს აკაკობას?!.

გულამოსკვნილი მოწიწებით მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს ცხედარს და გეკითხებით: ვისა და რომელ თქვენ პირმშოში ვეძიოთ თქვენი ბასრი კალამი, საუნჯე ჩვენი ერისა, არშია ლიტერატურისა და ბურჯი ეროვნებისა?!. ანდა როდის გაგვეზრდება და მოგვევლინება შენებრი ჩვენი ღმერთ-კაცი-მესსია, დიდი აკაკი, ჩვენი დიდი მასწავლებელი და სიამაყის იალბუზი?!. ოოჰ, საყვარელო დიდო მასწავლებელო, დაფლითა გული თქვენმა სიკვდილმა და ამ ნაფლეთებიდან ამოხეთქილს ცხარე ცრემლებს ვაფრქვევ თქვენს ცხედარს, და ვუერთებ აბობოქრებულ ეროვნულ ცრემლთა წარღვნას!!.

დღე აზვირთდეს, დღე ეხეთქოს... იქნება ამით პოვნა თქვენი შესაძლოა?!... ვერ გაგიმეტებთ, თქვენ ცოცხალი ხართ, თქვენ არ მოკვდებით!!!. კვლავ მცხოვანი ხართ, კვლავ ცოცხალი ხართ!!!.

**კაჭრეთელი გლეხი დ. სოლოლაშვილი**

---

*) ვბეჭდავთ-რა ახელი (ს. კაჭრეთელი) გლეხის (დ. სოლოლაშვილის) მწარე კვნესას, აქვე ვათავსებთ მისს კერძო მონაწერს, რომელიც არა ნაკლებ ახასიათებს მგოსნის გარდაცვალებით გამოწვეულ მის წუხილს წერილი უცვლელად იბეჭდება, მართლწერა ავტორისა რჩება „ძმაო იოსებ!მოგესალმები თვალცრემლიანი... აღარა გვყავს ჩვენი აკაკი?!!.. ჩვენი სიამაყე, პოეზიის იალბუზი, ლიტერატურის არშია, ჩვენი სურათი!!. ბევრს სიბნელეში შეიჭრა მისი სხივები, ბევრი დაკარგული და დაჟანგული „ინსტიკტი“ აამოძრავა და გაალვიძა მისმა სხივებმა, და ახლა კი... ახლა... ამ შავბნელ ხანას?.. როდესაც ჩვენი ერის სიკვდილ-სიცოცხლის ბედი და უბედობა ხელჩართულ ბრძოლაში არიან, გამოგვერიდნენ ამ მოკლე დროში ესოდენი მოღვაწეები და აგერა თან გაჰყვათ ჩვენი ღმერთ-კაცი და გენიის ამირანი, ჩვენი აკაკი!.. ამის შემდეგ აბა რაღა გითხრა, ძმაო, ჩემი კოჭლი ენით?!. გული დუღს, გამოთქმა და კალამი კი არ მემორჩილება; ვიღა დაგვრჩა ჩვენი ენის მშობელი—ქურუმი—დიდი მასწავლებელი, რომ მივმართოთ?!! დაგვეღუპნენ, ცხოვრების ღელვამ უიარაღოთ მოგვისპო ყველანი, დავრჩით ცხოვრების ბრძოლის ველის ნაშეზედ გარიყული ობლები, და ვინღაა ჩვენი პატრონი?!! როდისღა წამოგვეზრდებიან მათი პირმშონი, როდისღა მოგვაშორებენ გლოვის ძაძას და ააჟღერებენ მათ სიმებს?! უნდა ანდერძი დავსტოვოთ, რომ საფლავში ჩამოგვძახონ, თორემ ჩვენ ხომ ველარას მოვესწრებით“!.. **რედ.**



აკაკი — საწოლზე გარდაცვალების
მეორე დღეს

# აკაკის

(4 თებერვალს საჩხერეში მგოსნის კუბოსთან წარმოთქმული)

ჩვენ ბევრი ვართ, შენს კალთაში, შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით გარს ვეხვევით
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით.

ჩვენ სიმები შენი ჩანგის დავირიგეთ თითო-თითოდ,
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ,
ჩვენ ავკინძავთ ჩვენს სიმღერებს, ყვავილებით დავამშვენებთ,
და გვირგვინად შემკულ ჭანგებს შენს საფლავზე დავასვენებთ.

და თუ ჩვენი სიმთა ტალღა ათამაშდა ვით ჩანქერი,
თუ შევქმენით ლოცვა წმინდა, ლოცვა შენი შესაფერი,
შენ მიიღე ის ღაღადი, ანთებული ვით პატრუქი,—
შენი შენვე დაგიბრუნდეს: მზეს უჩრდილოს - მთვარის შუქი.

ს. აბაშელი

# სიკვდილი

(იხ. „თ. და ც.“ № 5)

სამარეში სულიც თან ჩამყვა და გამიკვირდა. „ოი! ოიო“! — შემომძახა ვიღაცამ — „ვინ ხარ რომ თავზე მიწვები და ძვლებს მამტვრევო“?

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და კვნესი? — დავეკითხე მეც.

— მეე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქაური მიწის შვილი ნუ გგონივარ! ჩვენისთანებზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესო?..“

— როგორც ვხედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ლოლოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო!“ მე იქ, მაღლა მეზარებოდი და შენ კი აქ, დაბლაც დამიხვდი?

— ვინ მოგიწვია? მე აქ ჩემთვის, აგერ ოთხმოცი წელიწადია, მარტოთ-მარტო ვწევარ და არავის შევუწუხებივარ.

— ჩემი ნებით არც მე ჩამოვსულვარ! რაღა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და გავიტანოთ ერთმანეთი; მაგრამ ეს კი უნდა მითხრა: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდის გზა ვეღარ გაიგენი საიქიოსკენ?

— ცაყავი, მაგრამ არ მიმიღეს... დამაბრუნეს, შენ იქ სისხლში გასვრილი ხარ და არაყით გაგიბანიაო!.. გაწმენდა გეჭირვებაო. საკანონო დამდვეს და აქვე გამომგზავნეს, ერთი საუკუნე უნდა დავრჩე და მერე უნდა კი გავუდგე გზას... ოცი წელიწადი კიდევ მიკლია, მაგრამ, ღვთის მადლით, დრო ჩქარა გარბის.

— ღმერთმა გისმინოს და გზა მშვიდობისა მოგცეს! მაინც რას აკეთებ ამ ქვეყნად?

— არაფერს, დღე აქა ვწევარ და ღამე კი, დღე და ღამის გაყრიდან მამლის ყივლამდე, მაღლა დავტანტალობ. როგორც მავნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონია! თუ იცი მე რამდენ ხანს უნდა დავრჩე აქ?

— ორმოც დღეს, რომ ცოდვილ დედამიწას საუკუნოთ გამოეთხოვო, მტერსა და მოყვარეს სათითოვოთ უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე მოსთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქაური ჭუჭყი საიქიოს აღარ მიგყვებაო.

ამ საუბარში ჩვენ კიდეც შემოგვაღამდა. დღე-და-ღამე გაიყარა და ჩემი მეზობელი ამოძვრა მაღლა. მეც თან ამოვყევი, მაგრამ ის თავისთვის წავიდა და მე ჩემთვის. ყველაზე უმალ მე ჩვენი სტამბისაკენ გავექანე; მუშები მოწყენით დამიხვდენ: ჩემზე ჩამოეგდოთ საუბარი.

— „ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნებდი: იმის ხელს ვერ ვარჩევ და ბევრ დროს მაკარგვინებსო! მორჩი და მოისვენე“, — უთხრა ერთმა მეორეს.

— „შე კაცო, გულის წყრომის დროს რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა ის არ მომკვდარიყო და მე შრომა ერთი-ათათ მომმატებოდაო,“ უპასუხა მეორემ. „მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გაჭირვებია ამოკითხვა, მაგრამ მაგიერათ ბოლოს სიამოვნებაც მინახავსო“ — დაამატა მესამემ. ახლა კი ვეღარც მის სტატიას ავაწყობ და ვეღარც სხვებისასო.“ „რატომაო? — კითხეს. „რატომ და სტამბიდან გამომაგდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზღა და უარი ვთქვიო. ჯერ ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეცებდაო. გამომაგდეს...რა გაეწყობა! თუ ვიშოვნე სხვაგან ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ გავუდგები გზას გურიისაკენ, ღომი ბევრი მეშოვება და ლობიო“, — თქვა, ამოიხვნეშა და გაჩუმდა. მე მისმა სიტყვებმა შემაწუხეს. „ღმერთმა გიშველოსთ-მეთქი“ — გავივლე გუნებაში და გამოვედი გარეთ. პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ წავედი. რედაქციაში თავი მოეყარათ ყველა თანამშრომლებს. ერთი მათგანი რედაქტორის თანაშემწეს ეუბნებოდა:

— მაშ არ დაბეჭდავთ?

— არა!

— რა მიზეზია?

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისთანა სტატიების წერა! ისევ ტფილია, ჯერ კარგათ არ გაცივებულა და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი; ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიცოცხლეშიაც არ ყოფილხარ მაინცა და მაინც მისი წინააღმდეგი და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაკითხო... მომწყინდა მათი ყურის გდება და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტოთ-მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანია ვიცნობდი და ჩემ დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს საზოგადოთაც, მართალია ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს და მაშ რად მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას რომ გადაატანინო რამე ერთი სახლიდან მეორემდი, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერით გადადის და სხვა ხორცით. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი მაინც უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინა“!

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა რამდენიმე პწკარი, წარბები შეჭმუხნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: „ამის დაბეჭდვა არ შაიძლება, შენ არ გესმის რა დროს რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდი“. კუდ-ამოძუებული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტბუტით: „მოდი და გაუგე ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო. ჩემს ჭირს, თუ არ დაბეჭდვენ! სულ ერთია: მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ. მეორე სტატიაც ხომ მზათა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ და სიხარულით დამიბეჭდვენ“.—თქვა და გასწია. დავედევნე მეც. რედაქციაში დიდიან-პატარაიანა ყველა დიდი შეწუხებული დაგვიხვდა. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ შეშრობოდათ. რედაქტორს კრიჭა აღარ ეხსნებოდა, თამამად შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და ღიმილით გაუშვირა ხელი რედაქტორს. მაგრამ რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რო არა იყოს-რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ და მაგრე მედიდურათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უზდელობაა!..

— „მე.. მე... მე სტატია მოვიტანე მიცვალებულზე“—თქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

— ქებაა თუ გინება? დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია, ქება.

— მაშ, არ შეიძლება დაბეჭდვა. წაიღეთ უკანვე. თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლეშიაც შეურაცხყოფათ მიაჩნდა და ახლა ხომ საფლავიდან ამოღება იქნება. შერცხვენილი მწერალი გამოვიდა გარეთ, რეტდასხმულივით დადგა ქუჩაზე და ამოიხვნეშა: ჰეეე! აღარც იქით და აღარც აქეთ! ახია ჩემზე, რას ვერჩოდი განსვენებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, ბრუნდი და მართალი ყველა თავში მიფაჩუნებდა, იმან პირველათ შემნიშნა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყეფა-ღრენით გადავუხადე? სულ ლუკმა პურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სიღარიბე. არც ერთხელ საკუთრათ ჩემთვის მათრახი არ გადუქნევია, მაგრამ მისი შორს გატყორცნილი შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ ხვდებოდა. აი, თუ გინდა ეს, რომელიც გულიდან აღარ ამომშორდა:

„რას წუწკუნებს ის პატარა მურია!
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?

—

ვისი არის და ან სადაურია?
ქუცი, ქუცი, კუდ-ქიცინა მურია!..

—

რომ არ მოდის?.. თითქოს უმადურია!..
რა ყოფილა, ხედავთ, ბრიყვი მურია?!

—

კიდეც რო ყეფს!.. რადაც უცნაურია,
თათი, თათი, სალახანა, მურია!

მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურია.
ვის აშინებს სასტილო მურია?!

|

მაგის ხერხი,—ერთი ღუკმა ზურია:
გადაუგდებ, გაჩუმდება მურია.

—

ვინც გააძღებს, მისი შინაურია,
იმას მონებს და კუდს უქნევს მურია...

—

ან კი რა ქნას? ბუნებით უძლურია.
ქუცი, ქუცი! სატოდავო მურია!

—

დაქუცაა კუდ-ქიცინა მურია,
თუ არ შია და ან არცა სწყურია...

—

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგრამ ბევრს კი მისი სარკე გონია და მეც გულში ისრათ მესობა ჩანს, რომ ალბათ მეც მურია ძაღლი ვარ. ვიყო.. ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე გავიტანო. პატრონი ძაღლს ხან გაუჯავრდება, კარში გააგდებს—და ხან ისევ დაუძახებს და მოეფერება, ძაღლს რა უჭირს, სანამ ყეფა კი შეუძლია და კუდის ქიცინი. ეჰ! წავალ ისევ ჩემ ძველ რედაქციაშიო."

შემეზიზღა, მაგრამ მაინც შენდობა მივეცი და გავექანე „პურ-ღვინოსაკენ", რადგან ვახშმობამაც მოატანა. იქ ნაცნობები ვახშმათ იჯდენ და მე მიგონებდენ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს, იცინოდენ. ხარხარობდენ და დროს ატარებდენ. ერთმა მათგანმა აავსო ჰიქა ღვინით; წაუქცია თავი და სთქვა: „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, სამასი მანეთი კი გაყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოს! შევხედე თვალებში ურცხვათ მოტრაბახეს, მაგრამ რაღას ვეტყოდი. ღმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი მანეთი და აღარ დაუბრუნებია. სხვებმა, ვითომ ჩემ ნათქვამათ, ანეგდოტები გაიმეორეს, მაგრამ ყველა ჩემი არ იყო. რაც იყო ისიც დამახინჯებული. და „ღმერთმა შეგინდოს-მეთქი—გავიველე გუნებაში გულნატკენმა და თავის დასამშვიდებლათ წაველი პირდაპირ გულითად მეგობართან.

შეველი ოთახში თუ არა, ის ვნახე, რაც სიცოცხლეში მეჯავრებოდა: ჩემს გულითად მეგობარს სხვა ვინე უჯდა გვერდით და ანუგეშებდა: „კარგია, კმარა, არ გ შვენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე იფიქრე, და მკვდარი ღმერთს სააბარე. წავიდა, მორჩა,—ხომ ვერ დააბრუნებო?"

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცლხეო, რომ მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე როგორც მახლობელი ნათესავი, და შენ კი... უთხრა ალერსით ქალმა და ჩაუდვა ხელი ხელში. კაცმა ხელზე კოცნა დაუწყო. მე გული დამწყდა, და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე ფანჯარზე დავაკაკუნე, შეკრთენ, წამოცვინდენ ზეზე, კაცი მიდგა ფანჯართან, და რომ ვერაფერი დაინახა, სთქვა: „ჩიტი უნდა ყოფილიყოსო"; გაბრუნდა და ისევ ალერსი დაუწყო ქალს. მე კიდევ პირვანდელზე უფრო ძალუმათ მივეხალე და მივეხალე ფანჯარს. მაშინ კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაეკრა კაცს და იმანც გასამხნევებლად ხელები მოხვია. ვსთქვი: თუ ისე ვაფრთხე ესენი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ-მეთქი; მოვსხლტი გულშეწუხებული და ისევ საფლავში ამოვყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბევრი ვერა მასიამოვნა· მეორე ღამეს, მესამეს, მეოთხეს... ორმოცი დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც ამ ქვეყნათ ნაცნობები მყავდა. ღმერთო, რა არ ვნახე? რა არ გავიგე? მტრებიც და მოყვარებიც სულ სხვა თვალით დავინახე. ავიც და კარგიც მხოლოთ ახლა გავარჩიე. იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსენებთ... მაგრამ ახლა კი ყველას შენდობა მოვთხოვე და გამოვეთხოვე ქვეყანას, მეორმოცე დილას მომიკითხა სულთამხუთავმა, შემიგდო ფრთაზე და გამაქანა საიქიოსკენ.

—

ამიტაცა სულთამხუთავმა და გავფრინდით!.. მთვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს გვერდი ავუარეთ და მივაწყდით ერთ მნათობს: „აქ არის ქართველების სავანეო"!—მითხრა ჩემმა წინამძღვარმა და შემიყვანა წალკოტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუძლია წარმოიდგინოს მისი სიკეთე!.. თვალ-გადუწვდენელ ტალავერში ტახტზე იჯდენ ორ პი-

რათ მეფე-დედოფლები. ყველაზე პირველი ადგილი ეჭირა კაცებში, დავით აღმაშენებელს, ქალებში თამარ მეფეს. მათ მახლობლათ იყვენ: ვახტანგ გორგასლანი, იური ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი..რიგრიგად იყვენ ჩამწკრივებული ღირსების და გვარით; ზოგიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუზის ოდნადაც აღარ მოჩანდენ... ირაკლი ვერსად შევნიშნე და, რომ ვიკითხე ასე მითხრეს: „სარდლების გუნდში გადავლა ინებაო“! —გიორგი მეთქი?—გიორგის მუცელი სტკივა და გორავს სულ ბოლოშიო“.

როცა მიმიყვანეს, თაყვანი ვეცი მეფეთა-მეფეს. დიდებულმა ჯერ ვინაობა გამომკითხა და მერე მიბრძანა: „რასა იქმს და როგორ არი ჩემი ჭირნახული ქვეყანაო?“—შემიძლია, ბევრი რამ მოგახსენოთ მის დიდებულ და საქებარ წარსულზე; აგრეთვე ბევრი რამ გიმახარობლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო, უეჭველ მომავალზე, მაგრამ აწმყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფევ! შევევედრე მე.

როგორ გეტყობა, რომ იმ ქვეყნიდანა ხარ!.. უზდელო, წარსული ამბავი ჩვენ უკეთ არ ვიცით! მომავალსაც შენ ჩვენზე უკეთ როგორ დაინახავდი იმ ქვეყნიურ ხორციელი თვალით? შენ მხოლოთ იმას გეკითხებით: დღეს რასა იქმს ჩვენი ქვეყანა?

— ვაი თქმასა და ვაი უთქმელობას!.. მოყვარეს რომ უნდა, ისე აღარ გახლავთ, მაგრამ არც-კი ისე, როგორც მტერს უნდა.

— მაინც?

— რაღა მაინც!.. ღვთის წყალობითა და რუსეთის მეცადინეობით ნელ-ნელა იღვიძებს, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრათ ვერ დამდგარა ფეხზე.

— რატომ?..

მოგეხსენებათ, ახლათ გამოღვიძებულზე სანამ კარგათ გამოირკვევოდეს, კაცი ბაცბაცებს და უსწორმასწოროთ ადგამს ბიჯს. და როდესაც მოიმარჯვებს ძალღონეს, მართლმორწმუნე ერის შემწეობით... გამობრუნდება გასწორდება.

— მაშ ჩემი ძველი ტაძრები, ჩემი ციხე-ქალაქებიც, მტრის აოხრებულები, ისევ ხელ ახლად გაახლდებიან?

— უეჭველია, რადგანაც საძირკველი მთელი აქვთ!..

— ჩვენც მაგის იმედი გვაქვს!..ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვისაც-კი ჩვენი საქართველოსათვის კეთილი სურდეს!.. სხვას კიდევ რას იტყვი?

— თევზის ანდაზას.

— ჰო, შენით არ გინდა, რომ თქვა?

— კარგი იქნება, თუ თქვენვე მკითხავთ და მაპასუხებიებთ.

რომ მომისმინა დავით აღმაშენებელმა, ფიქრში ჩავარდა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მიუბრუნდა თამარს:

— დედოფალო მეფევ! შენ, მხოლოთ შენ, შეგშვენის, გამოჰკითხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი ამ ახალ მოსულს.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მიაფინაო და მიუგო:

— დიდებულო მეფეთ-მეფევ! მხოლოთ ერთათ ერთი მზის ელვარება ჰფანტავს ბნელს და აყენებს დღეს. მთვარე მხოლოთ ბნელში კაშკაშებს და წყნარად ისვრის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზისაგანვე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენივე ანარეკლი ელვარებაა!

— არა, ჩემო ღირსეულო შვილის-შვილო! მე როგორც მამასახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის შესაფერ დიასახლისს, მიგიღია, შეგინახავს, მოგივლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ და მე უშენოთ თითო სრული არ ვიქნებოდით, ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველობა შეგვფერის მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშ, შენი ჭირნახული ქვეყნის ამბავი შენვე გამოჰკითხე.

— უმჯობესია, ჩემო მწყალობელო, ჩვენმა კარის კაცებმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოჰკითხოს და ჩვენ მოვისმინოთ.

მოეწონა ეს რჩევა დავით აღმაშენებელს და გაგზავნეს შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველესი მათგანი გამოცხადდესო“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარდლებში დიდი უთანხმოება გახლავთ, ბატონო! პირველობას ერთი-მეორეს უთმობდენ, მხედართმთავრები გამრეკელს, გამრეკელი კახაბერს, კახაბერი—ჭიაბერს და ყველა ერთათ-კი—გიორგი სააკაძეს შეჰყურებენ; გიორგი სააკაძე შორს იჭერს თავისპირველობას.

— თავმდაბლობა გმირთა ბუნებაა! ბძანა აღმაშენებელმა და გაჩუმდა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კანონის მდებლებს მივანდოთ და იმათ გადაწყვიტონ ეგ საქმე, ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ ალბუღა ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდენ სარჩიელში, მაგრამ იმათშიაც უთანხმოება მოხდა. ალბუღას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგ არ დაეთანხმა.

— რა ამბავია?—ბძანა აღმაშენებელმა.—აქაც აღარ იშლიან ქართველები თავის იმ ქვეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეო! მოახსენა ვახტანგმა, ესენი ასახელებენ გიორგი სააკაძეს. მართალია, ის გასაოცარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი", მაგრამ მის ღვაწლს ჩრდილი ფარავს.

— არა! შემცდარი აზრია!—თქვა გიორგი ბრწყინვალემ,—მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩალმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან მაინც ქართველი იყო. სამშობლოს სიყვარულით უძგერდა გული და მზათ იყო სულიც შეეწირა; და თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიარა, ამის მიზეზი უფრო სხვები იყვნენ; მაშინ, როდესაც ის თავისი ვაჟკაცი შვილებითა და მცირე გუნდით საარაკო საქმეებს ჩადიოდა, მოხმარების ნაცვლად სხვები ხელს უშლიდენ, თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გუდით კარი-კარზე დაწანწალებდა და როცა ქართლ-კახეთს შავი დღე ადგა, ის იმერეთი „შაიფარავანისას" ლათაიობდა. არა თუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარ-და-კარ სიარულმა, თვით იმერეთიც გარყვნა, მისი დამოყვრებით. მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა. ამისთანა დროს მეტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს? ქვეყანა მას ტყუილა ადებს ბრალს.

— კი, მაგრამ სპარსელები ხომ იმან მოიწვია? თათრებს ხომ ის ეპატიჟებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არის, მაგრამ ეს სულ მოსატყუებელი მოჩვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ ფრანგობა გინდოდა მიგეღო? გათათრებითაც გათათრდი, მაგრამ შენზე ეჭვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩაგითვალეს ეგ შენი გადასხვაფერება—ამიტომ, რომ შენ მეფე იყავი და ის-კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ თამარ არ ჩარეულიყო და არ ებძანებია: „მეც თანახმა ვარ გიორგისო! მოიყვანეთ სააკაძეო?"

წინ წამოდგა სიმდაბლით სააკაძე, საოცარი და საოცნებო თვალ-ტანადი მოურავი. შევხედე თუ არა, მაშინვე გამევლო გუნებაში: „აი, ეს ყოფილა რუსთველის ტარიელი-მეთქი. „მთელი მისი დღევანდელი ჩამომავლობა რომ ერთათ შეაწეპოთ, მის ფეხ ს ფრჩხილათაც არ გამოჩნდებიან". იმას უბძანეს, რომ გამოეკითხათ ჩემთვის ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალით-კი შემომხედა, თითქოს უნდოდა შეეტყო, ეს ჭია-ღუა საიდან მოთრეულაო და ცალყბად მკითხა: „რასა იქს დღევანდელი ქართველობა? ხომ ისევ ისე ძველებურათ არის?

— აღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდება, ვუპასუხე.

— ჰმ! ვაჟკაცათ კიდევ ვარგან?

— რატომ არა? თავისიანზე გულ-დიდი გახლავან, გარეშეების-კი შიში აქვსთ.

— იარაღს როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარგათ! როცა ლხინში არიან, ძალიან გამბედავად აძგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს. შინაურობაში თავს არ იზოგვენ. მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა, მაშინ-კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე.

— მაშ, დღეს სახელგანთქმული გმირი აღარავინა გყავსთ?

— როგორ არა? დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, კურუა და სხვანი.

— მადლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

— დიდი და შესანიშნავი! თუ სადმე შეიგულებენ ქვრივ-ობოლს, უიარაღოს, უძლურ დედაკაცს, მაშინ ძალიანს ვაჟკაცობას იჩენენ! თავს დაესხმიან ხოლმე და გაცარცვენ.

ეს რომ ვთქვი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებელმა და მომაყვირა:

— კანონი და სამართალი?

— აბრუნდ-ჩაბრუნდიზე ტრიალებს, მით უფრო, რომ ცრუ-მოწმობა კანონთან შემოვიდა; ცრუ ფიცი—აბაზათ ღირს.

— როგორ თუ ცრუ ფიცი? მომაძახა ერთმა წვეროსანმა,—სარწმუნოება?

— ისიც სხვა გზით მიდის. დღეს აღარც ლოცვაა და აღარც მარხვა. ადრე რომ ზარები „მოდი-მოდის“ იძახოდენ, ახლა „წადი-წადის“ გაიძახიან.

— ეს სულ ცუდი აღზრდის ბრალი ყოფილა! და რას შვრებიან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცოლები, დედები და დები?— იკითხა შეწუხებით თამარმა.

— გახლავან, დედოფალო; გახლავან, მაგრამ სულ სხვანაირათ გაიმღერიან.

— განათლებული თაობა?—იკითხა პეტრიწიმ.

— განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილშია... რასაც სხვაგან გაიგონებენ, სულ იმას იმეორებენ, თავისთავათ ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათგანი კატათ არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარეობა და დავის პაწაწკუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს მსხვერპლათ წირვენ გული კუჭი გონიათ და თავი —ფეხები,

აქ ისევ გამიტაცა ლაპარაკ ს სურვილმა, რომ, ვგონებ, ერთს წელიწადს ვეღარ გავათავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვიღაც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებინა სიტყვა... ის იყო თურმე საბა-სულხან ორბელიანი. გულდაწყვეტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა.

— როგორ გეკადრებათ ამის ყურის გდება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრუეში ყია-მყრალა მყავს აწერილი, ის გახლავსთო და სულ უსიამოვნო რამეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ სამე ასე გაფუჭებულიყოსო.

ეს რომ მოისმინეს, დავით აღმაშენებელმა ულვაშებში ჩაიცინა, თამარმა გაიღიმა და თქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გაიგდეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო. თქმა და გაგონება ერთი იყო. გამოცვინდენ აქედან, იქიდან ბოქაულები, მტაცეს ხელი, ერთი მისთანა პანღური მჩანთეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან, გაჩხდა ბრეგვა მიწაზე და კიდევაც გამომეღვიძ.

# არ მომკვდარა, არა!..

მცენარენი შეირხნენ, მწირნი შეშფოთდნენ, ჩანგის სიმებს მგოსნის თითები შეეხო და უკანასკნელად აჟღერა.. ხალხთა სამყარო შეირყა და მის მწუხარებაში ყრუდ გამოისმა:

„აკაკი მოკვდა!..“

...მოკვდა, მხოლოდ ხორციელად...

სულიერად არ მოკვდება ის, ვინც თავის „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოს დიდებისათვის, მშობლიურ ენის გახალხოსნებისა და სიმართლის ქადაგებისათვის სიცოცხლეშივე იკმეოდა!..

არ მოკვდა, არა!.. ის დღეიდან უფრო სცოცხლობს, მან სამარადისო სიყვარული გვასწავლა...

ნუ სცოდავთ, ნუ .. მისდიეთ მის მცნებას და გახსოვდეთ:

„არ მომკვდარა ..

„...ვინც შენატრის იმის სიკვდილს,

„უმალ მასვე დაამიწებს“...

თბ. ქართ. გიმ. მოწ. ერთი
ჯგუფის მონდობილობით

**მიხ. კიაზოშვილი**

# სამგლოვიარო წერილები

ცხარე ცრემლებით დავსტირით ჩვენი საყვარელი მგოსნის აკაკის გაციებულს ნეშთს. განისვენე მშვიდობით ჩვენო აღმზრდელო მამაო საუკუნოთ დარჩება ჩვენს სულსა და გულში შენი ციური ნანინასებური ხმა:

„მონას რათ უნდა კრული სიცოცხლე
ვისთვისაა ანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი.“

რ. ჯიბლაძე, ს. ჯიბლაძისა, გრიგოლ რუსიშვილი, მიხეილ რუსიშვილი, ეკატერინე ნინა, სოფიო, მარო და ნატალია რუსიშვილები.

—

ღრმად დამამწუხარა ქართველი ხალხის სიამაყისა და პოეზიის მრავალ-ფეროვნათ მქარგავ დაუვიწყარ აკაკის გარდაცვალებამ... ვიზიარებ ერის მგლოვიარობას და მწამს, რომ აკაკის დიდებული ჩანგი იჟღერებს სამარადისოთ...

მუშა **ვიქტორ კობახიძე**

# აკაკის გარდაცვალების გამო

**ამ ნომრისათვის დაწერილი** სოფ. მგალობლიშვილის მოგონება აკაკის შესახებ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იბეჭდება.

**ბაქოს წ. კ. ს. დეპუტაციაში** არჩეულნი არიან თ. იოსებ დადიანი, ბ.ბ. ჯაყელი, კვიტაშვილი, ს. ქანტურიშვილი.

**ბაქოს დრამ. წრის** წარმომადგენლად დაკრძალვაზე დასასწრებლად ჩამოვიდა რეჟისორი შალვა დადიანი.

**აკაკი დიდებულად** გამოასვენეს სხვიტორიდან. მთელი საჩხერე ძაძით იყო მოსილი, რამდენიმე ადგილას შხერის თაღები აღემართნათ. 20 ათასამდე გლეხკაცობა დაესწრო, იყვნენ წარმომადგენელნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, წოდებათა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის მხრით. საჩხერეს გზაზე მგოსნის ცხედარს იასა და ვარდ-ყვავილებს უფენდენ. საჩხერედან ხალხი მუხლმოყრით გამოეთხოვა. საჩხერიდან თბილისამდე ყველა სადგურზე აუარებელი ხალხი, სამღვდელოება, მოწაფენი და საზოგადოების წარმომადგენელნი უხვდებოდენ მუხლმოყრით. საჩხერეში და აგრედვე სხვა სადგურებზე სამძიმრის სიტყვებს ამბობდენ საზოგადოებათა, გლეხთა, მუშათა, ქალთა და სხვათა წარმომადგენელნი. განსაკუთრებით დიდებულად შეხვდნენ ჭიათურასა, შორაპანსა—, ხაშურსა ეგომსა და გორში. თბილისში აუარებელი ხალხი, ჰამქრები, საზოგადოებათა, პრესისა და სხვათა წარმომადგენელნი შეხვდენ.

**აკაკიი კუბო საჩხერეში** „თეატრი და ცხოვრების“ რედ. იოსებ იმედაშვილმა შეამკო ცოცხალ მრავალგვარ ვარდ-ყვავილების თაიგულით, რომელსაც ჩარჭობილი ჰქონდა ცოცხალივე ფოთოლ-რტოს წვერმოტეხილი კალამი,

**აკაკი დაიკრძალება** მამადავითის გალავანში, ფუნიკულერის მხრივ, საიდანაც მგოსნის ძეგლი მთელ ქალაქს გადმოჰხედავს.

**ქართველმა სტუდენტებმა** გამოსცეს აკაკის რჩეული ლექსები, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით, საქართველოში მუქთად დასარიგებლად. წიგნი დაიბეჭდა ათი ათასი ცალი.

**დაიბეჭდა მრავალი** სურათი აკაკისა სხვა და სხვა ზომისა და ფასისა.

**ბ. ახოსპირელმა და ი. უიბიძემ** გამოსცეს სურათი „საქართველოს მნათობნი“ შოთა, აკაკი და ილია. სურათის ვინეტკა დახატა მ. ჭიაურელმა.

**ბაქოში საყვარელი აკაკის** სულის მოსახსენებლად ალექსანდრენეველის ტაძარში პანაშვიდი გადიხადეს. ხალხი აუარებელი დაესწრო.

**დიდებული მგოსნის აკაკის** გარდაცვალების გამო გადაიდო 28 იანვრისთვის მაილოვის თეატრში დანიშნული კომპ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი, რომელიც ქართულ ტრადიციულ საღამოს მაგიერ უნდა გამართულიყო

ამ მიზეზითვე აღარ შესდგა 30 და 31 იანვ. დანიშნული წარმოდგენები.

**სინემატოგრაფით გადაიღეს აკაკის** ცხედრის საჩხერედან გამოსვენება, გზაზე საუკეთესო ადგილები და შეხვედრანი. დღეს გადაღებული იქნება მთელი მსვლელობა ქვაშვეთის ტაძრიდან მამადავითის ტაძრამდე მგოსნის ცხედრის განსვენების დროს,

**ხაშურის ქართ. დრამ. დასის გამგეობამ** უდიდესი ქართველი მგოსნის აკაკის გარდაცვალების გამო დაადგინა: აკაკის დასაფლავებამდე არავითარი საღამო, ანუ წარმოდგენა არ იქმნას გამართულ-დადგმული; გაიგზავნოს სამგლოვიარო დეპეშები ყველა ქართ. გაზეთების რედაქციაში თბილისში; სათეატრო დარბაზში ჩამოკიდულ იქმნეს აკაკისა და ილიას დიდი სურათები და ამ მოკლე ხანში გაიმართოს აკაკის სალიტერატურო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა აკაკის სახელობის ფონდს. წარმომადგენლებათ დასაფლავებაზე დასასწრებლათ წრემ აირჩია: ინჟინერი კონსტანტინე ძნელაძე და ნიკო სიხარულიძე.

**საზოგადოებამ ხაშურის**ახლო მდებარე სოფლელებთან ერთად ხუთშაბათს 29 იანვ. გადაიხადა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე მღ. მ. პეტრე კაპანაძემ მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შემდეგ—საზოგადოების ხელის მოწერა გაიმართა აკაკის სახელობის ფონდის სასარგებლოდ, თანახმად მგოსნის ანდერძისა.

**თბილისში მყოფი რაჭველობა** უდიდებულესის მგოსნის აკაკის გარდაცვალების გამო 31 იანვარს შეიკრიბა და მცირე თათბირის შემდეგ: 1) აირჩია სამი წარმომადგენელი (ვასილ ხომასურიძე, ვასილ კირვალიძე და კოწია ბაქრაძე), რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მგოსნის მოსვენება-დაკრძალვაში: 2) დაადგინეს გადაიხადონ პანაშვიდი, 3) სამგლოვიარო წერილები მოათავსონ ქართულ გაზეთებში და 4) შეაგროვონ ფული განსვენებულის ანდერძისამებრ, გვირგვინის ნაცვლად ზეპირსიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ.

**ნაძალადევის უბანმა** აკაკის სულის მოსახსენებლად 3 თებ. პანაშვიდი გადაიხადა.

**მისაბაძი მაგალითი—ზეპირსიტყვაობის სასარგებლოდ** ვასილ ნ-ძე კირვალიძემ შემდეგი განცხადება შეიტანა ქართ. საზოგ. კულტურულ დაწესებულებათა მიერ არჩეულ კომიტეტში: „7 იანვარს 1909 წ. გადავწყვიტე, ყოველ წლიურად სამი მან. გადამეხადა დიდებული მგოსნის აკაკის სახელობაზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოთ და პირველი ხვედრი სამი მანეთი უკვე გადავიხადე, ხოლო დანარჩენი წლებისა სხვა და სხვა მიზეზის გამო აქამდი არ გადამიხდია, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი როგორც დიდებული მგოსნის, ისე ქართველი საზოგადოების წინაშე. ამ ჟამად ჩემი სურვილია, დანარჩენი ხუთი წლის ხვედრი 15 მან. გადვიხადო განსვენებულისამებრ ზეპირსიტყვაობას ფონდის სასარგებლოდ, ამასთანავე ვარგებ ამ 15 მან და აგრედვე ვალდებულათა ვსთვლი ჩემ თავს, სანამ სიცოცხლე და გარემოება ხელს შემიწყობს ამავე მიზნისათვის ყოველ წლიურად ვიხადო წელიწადში სამი მანეთი.“

Дозволено Военной Цензурой. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

# აკაკის ლექსები

## ალმართ-ალმართ...

ალმართ-ალმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზე შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;
მზემან სხივი მომაფინა მაშინა, —
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა!

შემიღუღდა მაშინ სული და გული,
იმ ნაღულში თვით მე ვიყავ დაგული. —
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
რომ დღეის-დღის ხმა ისმინოს გაისმა.
ცის მახლობლად, ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: ცხოვრებავ, მეც ერთ გაცად მიწამე!

და ვიფიქრე ჩემი საურთო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?..

გადვიხედე, ვნახე: რომ სხვას ჰმონებდა?
გამიკვირდა!.. ვსთქვი: მტერს როგორ მონებდა?

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი,
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!

მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!..
შეიბრალე თავი შენი, იცოდე,
მაგ შარბათში საწამლავს სვამს იცოდე.“

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს!
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს!

ალმართ-ალმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ მაღლობზე თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო, ვეღარ გკურნავენ წამალით;
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წამ ალით!
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით!
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელ-დაკრეფით განისვენე მარადის!..

## ამირანი

„კავკასიის ქედზედ იყო
ამირანი მიჯაჭული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,
და რადაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა!.. ყველა გაათოცა!..
და ის ღვაწლი მაკალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა...
კავკასიის მაღალ-ქედზედ
მიჯაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის განსაცდელი!“

## ნახევარი ცხოვრებ ს გზა გ ვლიე

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე.
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი.
რას მიქვიან ბირალი მწუხარება?
— მოკვდეს კაცი თუ პირუტყვს ედარება!
ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!
ფეხ-შიშველი, თავზედ ლეჩაქ-ახდილი,
უგრძნობლად ჰხლის საწყალს სალათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი;
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი.
მაგრამ მაინც ვიცინი სამ-ნაირად,
და მჭვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირად.
„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს იცინის!.. როგორ არა რცხვენისო!?“
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარია!..

სოსიკო მერკვილაძის
წიგნის მაღაზიაში

„ცოდნა“—ში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

# აკაკის შემდეგი ნაწერები

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| I ტომი | 1 | „ |
| II ტომი | 1 | „ |
| ბაში აჩუკი | „ | 30 |
| ნათელა | „ | 20 |
| კიკოლას ნაამბობი | „ | 20 |
| ბაგრატ დიდი | „ | 10 |
| ორი ქართველი | „ | 10 |
| ალექსი | „ | 10 |
| გამზრდელი | „ | 10 |
| რჩეული ლექსები | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა | „ | 15 |
| დათუნა გოცირიძე | „ | 15 |
| თამარ მეფე | „ | 5 |
| იგივე რუსულად | „ | 5 |
| ვაჭრული ჭკუა | „ | 5 |
| მამლის ყივილზე | „ | 10 |
| ნაცარ ქექია | „ | 10 |
| ოცნება | „ | 10 |
| ჩემი ნაწერები | „ | 75 |
| ორი პუბლიცისტური სტატია | „ | 10 |
| თორნიკე ერისთავი | „ | 35 |

## აკაკის სურათები

| | |
|---|---|
| დიდი სურათი | 50 კაპ. |
| მორჩილი | 25 |
| ღია ბარათი | 5 |

ნაღდათ მყიდველს ფასდაკლებით დაეთმობა. **მისამართი:** თბილისი წიგნის მაღაზია **„ცოდნა“** სოსიკო მერკვილაძე

---

## აკაკის საუკეთესო სურათი

წარწერით „აკაკი წერეთელი 1840—1915“ გამოცემულია სტამბა „ეპოხის“ მიერ და თითო იყიდება 10 კ.

---

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“